საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

განცხადება სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით

27 სექტემბერი, 2026 წელი

აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ეხმიანება სოხუმის დაცემიდან 33-ე წლისთავს, რომელიც საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ თარიღს წარმოადგენს. ამ დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას და სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ ასიათასობით დევნილს, რომლებმაც საკუთარ სამშობლოში ლტოლვილობის მძიმე ხვედრი გაიზიარეს.

საჭიროა მკაფიოდ აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ტრაგედია არ ყოფილა იზოლირებული მოვლენა. ეს იყო რუსეთის ფედერაციის მიერ გაჩაღებული აგრესიის საწყისი ეტაპი, რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა სხვა სისხლისმღვრელი კონფლიქტები, მათ შორის ცხინვალის რეგიონში/სამაჩაბლოში. ეს პროცესები წარმოადგენს რუსეთის ერთიანი იმპერიალისტური სტრატეგიის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს სუვერენული სახელმწიფოების განვითარების შეფერხებას და რეგიონში არასტაბილურობის კერების შენარჩუნებას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კრიტიკულ გამოწვევებზე:

- **მცოცავი ანექსია და სრული ინტეგრაციის მცდელობა:** რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი სცილდება უბრალო სამხედრო კონტროლს და მიზანმიმართულად ახორციელებს რეგიონის სრულ ინტეგრაციას საკუთარ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ სივრცეში. მასობრივი პასპორტიზაცია (რუსეთის მოქალაქეობის იძულებითი/უკანონო დარიგება), ადგილობრივი ე.წ. „არჩევნების“ გზით კრემლისადმი ლოიალური პირების დასმა და მუდმივი მსჯელობა რუსეთის ფედერაციასთან ფორმალურ მიერთებაზე — ეს არის

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მუდმივი პოლიტიკური შანტაჟის ინსტრუმენტი.

- **სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოება და ბორდერიზაცია:** საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების აღმართვა (ბორდერიზაცია) ემსახურება კონტროლის სამხედრო გაფართოებას. კრემლი აქტიურად იყენებს ოკუპირებულ ტერიტორიებს როგორც ხმელეთზე, ისე შავ ზღვაზე (მათ შორის ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზების მოწყობის მცდელობით) სამხედრო პლაცდარმად, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ნავიგაციის თავისუფლებას და შავი ზღვის აუზის უსაფრთხოებას.
- **დევნილთა უფლებები და ეთნიკური წმენდა:** ომის შედეგად განხორციელებული ეთნიკური წმენდის გამო, ასიათასობით ადამიანი ათწლეულების განმავლობაში მოკლებულია შესაძლებლობას, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდეს საკუთარ სახლებში. გრძელდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აღსრულებაზე რუსეთის მხრიდან უარით.
- **ეთნიკური ქართველების დისკრიმინაცია:** ოკუპირებულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ყოველდღიურად განიცდიან უფლებრივ შევიწროებას. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ეთნიკური ნიშნით დევნის აშკარა გამოვლინებაა.

ევროპული უსაფრთხოება, დემოკრატიული განვითარება და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება:

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება არის მთლიანი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი თემა. უკრაინაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი აგრესიის ფონზე კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ევროპაში გრძელვადიანი მშვიდობა შეუძლებელია პარტნიორი ქვეყნების დეოკუპაციის გარეშე.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მტკიცედ უჭერს მხარს კონფლიქტის მოგვარებას **მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით**. ამავდროულად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს **ევროპული ინტეგრაცია და ქვეყნის დემოკრატიული განვითარება** წარმოადგენს საზოგადოებების შერიგებისა და ქვეყნის გამთლიანების მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორებს. დიდი შეშფოთებით აღვნიშნავთ, რომ ეს ფუნდამენტური პროცესები დღეს სერიოზული გამოწვევების წინაშეა.

ევროკავშირის გაფართოების ახალ კონტექსტში, მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა აღმოსავლეთ პარტნიორობის სივრცეში უალტერნატივოა. ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, გააძლიერონ მხარდაჭერა სამშვიდობო ინიციატივების მიმართ, უზრუნველყონ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მანდატის სრულფასოვანი განხორციელება მთელ

ტერიტორიაზე და გაზარდონ წნეხი რუსეთზე, რათა მან შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმა კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.